რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშის სიმართლე

**რედაქციისაგან:**

წერილები უნდა გადაცემულიქნას ანდა უნდა გამოიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში, უნდა იყოს დაწერილი სუფთად, გარკვევით და ქაღალდის ცალ გვერდზე, ავტორის ხელმოწერილი და მისივე ადრესით.

მიღებული წერილებს, თუ რედაქცია საჭიროდ იცნობს, გაასწორებს და შეამოკლებს.

დაუბეჭდავი მასალა არ ინახება და რედაქცია მის შესახებ არ კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას.

რედაქციის მისამართი: „მუშის სასახლე" (სმეკალოვსკი და მორსკოის ქუჩ. კუთხე, მეორე სართული).

ყოველ კვირეული გაზეთი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ბოლშევიკების) ბათუმის კომიტეტის ორგანო.

№ 2. | წელიწადი პირველი | ორშაბათი, 29 იანვარი 1918 წ. | ფასი 25 კაპ. | № 2.

# ამხანაგებო

აღსრულდა! რუსეთის რევოლიუციის ტალღები აზვირთდა და გადაგორდა სხვა ქვეყნებში. ჯერჯერობით რევოლიუციის ცეცხლის ალი გერმანიას მოედვა. მტარვალ ვილჰელმის ტახტი შეირყა და, შეიძლება, დღეს უკვე დამსხვრეულია. აზობოქრებული რევოლიუცია არ დაკმაყოფილდება გერმანიით ის მოედება მთელ ევროპას. მთელი პროლეტარიატი ამხედრდება, დაამხობს მალმომრეობას და დაამყარებს ძმობას, ერთობას, სიყვარულს!

**გაუმარჯოს საქვეყნო რევოლიუციას! გაუმარჯოს სოციალიზმს!**

## ბოლშევიკების კომიტეტის ბიურო

იმყოფება „მუშის სასახლეში, (კუთხე სმეკალოვის და მორსკოის ქუჩების, მეორე სართული).

ღიაა საღამოს 6—9 საათ.

ყოველ დღე.

---

### ამხანაგ პარტიის წევრთა მიმართ.

ამხანაგებო! მუშათა და უღარიბეს გლეხების პარტიას შეუძლია იარსებოს და აწარმოოს საქმეები მხოლოდ თქვენი აქტიური და მატერიალური დახმარებით ამისთვის თქვენ: მუშებმა, გლეხებმა და ჯარის კაცებმა თავისუფალი დრო და შეძლება უნდა მოახმაროთ ჩვენი პარტიის გაძლიერებას.

ამხანაგებო! შემოსწირეთ წიგნსაცავ—სამკითხველოს და ჯარის კაცებისათვის უფასო ლიტერატურის ფონდს.

**ბოლშევიკების კომიტეტის ბიურო.**

---

## კრიტიკული მდგომარეობა.

ჩვენ დიდიხანია ვეუბნებოდით ამიერკავკასიის ობორონცებს: ნუ მოახვევთ ძალდატანებით დემოკრატიას თავზე კოალიციონურ „სამინისტროს", თორემ ბოლოს ინანებთ. მაგრამ ასეთი გაფრთხილება იმათ არამც თუ ზედმეტათ ეჩვენებოდათ, არამედ ღიმილით შემოგვცქეროდნენ და დაცინვით გვიპასუხებდნენ იმას, რომ თვითონ იციან, რასაც შვებიან და დარწმუნებულნი იმაში, რომ ხალხი მათკენაა, ფიქრობდნენ რაც უნდა მოემოქმედათ, ცუდი თუ კარგი, პასუხის გება მაინც არავის წინაშე არ მოუხდებოდათ.

რას ვხედავთ დღეს? ჩვენ ვხედავთ იმას, რომ ასეთი ობორონცების იმედები მხოლოდ ოცნების ნაყოფათ იქცა და ახლახან მათი მდგომარეობის სინამდვილე კი სულ სხვა გვეუბნება.

მართლაც და რომ გავითვალისწინოთ მოკლეთ ობორონცების, მემამულე-შოვინისტების და ბურჟუაზიის ბლოკის და ამათ ლაქია და ინტერესების დამცველი კომისარიატის „მოღვაწეობა"—რა სურათი დაგვეხატება და გადაგვეშლება წინ?

კომისარიატმა არამც თუ ვერ გამოიჩინა რევოლიუციონერობა— ეს როგორ შეეძლო ბურჟუაზიის მოსამსახურეებს—უბრალო დემოკრატიზმის პრინციპებსაც კი უღალატა.

მიუხედავათ იმისი, რომ ის დემოკრატიას დაპირდა ათას გვარ სიკეთეს, ამ უკანასკნელს მისგან არავითარი ასეთი რამ არ უნახავს.

გლეხობა მოითხოვდა მიწას,— კომისარიატი მას მიწას ვერ აძლევდა. ან როგორ მისცემდა, მაშინ ალალარ—ბეგებ—ხანებს ხომ ეწყინებოდათ?

დამშეული ხალხი მოითხოვდა პურს,—პური სად იყო, ის კალეჯინთა ხელში იყო. ამათ კი კომისარიატი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და აბა როგორ დაატანდა ძალა მას, ვისწინაშე მუცლით ხოხავდა.

ჯარი მოითხოვდა სახალხო კომისართა საბჭოს ცნობას. ეს მან მეორე თავისი ყრილობაზე აღიარა. მაგრამ, ვინ უგდო მას ყური? თბილისის „მინისტრებს" ამისთვის როდი სცხელოდათ.

კავკასიის პროლეტარიატი სამართლიან მოპყრობას თხოულობდა (მუშათა საბჭოდი თფილისში). მას წარბშეუხრელათ აშკარა უარი სტკიცეს.

ასე ებრძოდა კომისარიატი დემოკრატიას და მისი ინტერესებს სანამ, ილაჯ—გაწყვეტილი და არაქათ-გამოლეული, თვითონ არ გაირთხა ძირს. მას თანდათან გამოეცალა ის მასა, რომელსაც დიდხანს აბრმავებდ ობორონც-შოვინისტების ბლოკი. ყველამ, ვინც პირველათ ჯაუტობდა და მიყობოდა—თითქოს თხას-ცხვრის ფარა—კომისარიატს, ახლა ნათლად დაინახეს, თუ ვისზე ამყარებდნენ თავის იმედებს და ვის წინაშე იხრიდნენ ქედს, უკეთეს ყოფის მოლოდინში.

კიდევ მეტი. თვითონ კომისარიატისთვის ცხადი შეიქნა ის რომ მან ყოველივე ავტორიტეტი, ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგა დემოკრატიის თვალში, და ხან აქეთ და ხან იქეთ უმწეოდ ეხეთქებოდა: ეძიებდა გამოსავალ გზას იმ ჯურღმულიდან, სადაც გადაჩეხა ის მისმა პოლიტიკამ.

ასეთი კრიტიკული მდგომარეობა გვაგონებს იმ დროს, როდესაც გაკოტრებული რუსეთის კოალიციური მთავრობა მიმართავდა ხან ბურჟუაზიას (მოსკოვის თათბირი), ხან დემოკრატიას (თათბირი პეტროგრადში), ხან იგონებდა წინასწარ პარლამენტებს და ხან კიდევ რას, მაგრამ ვერაფერმა ვერ იხსნა დაღუპვისაგან.

ამიერკავკასიის კომისარიატიც ცდილობს ამგვარივე ხრიკებით გადაირჩინოს თავი და აიცდინოს ხიფათი ამისთვის მან გამოახოხორიკა სეიმი. თან მოიხმობს დემოკრატიას, რომ ის ამ სეიმის ირგვლივ მჭიდროთ შემოკრბეს.

კომისარიატი მზათ არის მოიძროს თავისი ძველი ტყავი, შემოიმოსოს ახალი მანტიით და ასე გამოცვლილი, მოგვევლინოს ჩვენ სახოგადოების წყლულების, ჭირვეულობის გასაქარვებლათ. ტყუილუბრალოდ ირჯებიან და იწუხებენ გვგვექკოვრები და კომპანია თავს დემოკრატიამ კარგად იცის, რომ თავსა ახლად ვერ ვინ იშობს და ფერის გამოცვლა სრულებითაც არ მოასწავებს გულის გამოცვლას. მიუხედავათ ამისა ობორონცები არ ცხრებიან. ისინი აბჯარს ისხამენ, იარაღდებიან და უნდათ, სანამ დატოვებენ არენას, უკანასკნელათ გასინჯონ მკლავი; ნუ თუ მართლა ასე სამარცხვინოთ დასუსტდა?.

ისინი ტკბილ სიცრუეში სცვლიან მწარე სიმართლეს, სინამდვილეს.

ერეკებიან სეიმისკენ ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრთ. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მთელი დემოკრატიამ უარყო და არ მიიღო ობორონცები მაინც ფიქრობენ აქ, ჩვენში, გაასაღონ დაბრაკული „წევრები" და ამით ცოტათი მაინც ასწიონ გაქარწყლებული პრესტიჟი ამიერკავკასიის „მთავრობის",

იმ პარტიას კი, რომელმაც დროზე ვერ აუღო ალღო ცხოვრებას ჩამორჩა რევოლიუციას და გახდა ნაციონალისტთა მაჩანჩალათ, ახლა ამკომედიაში უნდა ითამაშოს პირველი როლი და ამით გამოაკეთოს წამხდარი საკუთარი საქმე.

ფარდის ახდისას (იგულისხმე სეიმის გახსნა) „მთელი ერის მამამ" ნ. ჟორდანიამ ისე კოხტათ შესთავაზა კ. ჩხეიძეს სეიმის თავმჯდომარეობა, რომ გულჩვილი ადამიანს, ასეთ სანახაობაზე, სიხარულის ცრემლი მოადგებოდა თვალებზე მაგრამ ნ. ჟორდანიამ, ჩვენის აზრით, ტყუილათ შეიწუხა თავი: საქმეს ვერ უშველიან, ვერ გამოაბრუნებენ თვით ჩხეიძეები, ვინაიდგან ეხენი უკვე ჩაბარდენ ისტორიის არქივს და მათი პოლიტიკურათ გაცოცხლების სურვილიც კი ზეთმეტია.

დემოკრატია მაშინ აფასებდა მათ, როდესაც ისინი რევოლიუციონერები იყვნენ, როდესაც სწორი გზაზე იდგნენ მედგრათ.

ასევე მოუვიდა უფრო დიდ ბუმბერაზს, უფრო დიდ მნიშვნელოვან პიროვნებას გ. პლეხანოვს.

ერთ დღეს ხომ რეაქციონერი პ. სტრუვეც დემოკრატიის ერთგული იყო და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა კაპიტალიზმის მიერ გამოწვეულ უკულმართობას.

მაგრამ, როდესაც იმათ დემოკრატიას უღალატეს ამ უკანასკნელმაც მათ ზურგი აქცია. განა ასეთივე არ მოზდით ჩხეიძეებს, ჟორდანიებს და ძმათა მათთა.

ობორონცების შექმნილი ხლართებიდან დემოკრატიამ განთავისუფლდა და აწი მას, თვალგახილულს ვერც სეიმით მოატყუებენ და ვერც ჩხეიძეების, რომელთაც კბილები ვაუსინჯეს, სახელით მოაჯადოებენ.

კრიტიკული მდგომარეობა გამწვავდა და ნუ გგონიათ ობორონცებს რაც ხელიდან გაუსხლტდათ ის უკანვე დაიბრუნონ და ხელმეორედ იხილონ.

**მიშა კ—ბაძე.**

## ნაციონალური პოლკები თუ ინტერნაც. რევოლიუც. გვარდია.

—

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელიც დამთავრდა მუშათა და ჯარის კაცთა ბრწყინვალე გამარჯვებით—ადგილობრივ მენშევიკებმა ერთის დაკვრით გაწყვიტეს ყოველივე კავშირი ინტერნაციონალიზმთან და სხვა ნაციონალისტური და შოვინისტურ პარტიებთან, როგორიც არიან დაშნაკელები, ნაც.-დემოკრატები, ფედერალისტები და სხვები, ერთად ააფრიალეს „ეროვნული", ნაციონალისტური დროშა. ყველაზედ უფრო აშკარად და მახინჯათ ეს მოიმოქმედეს მათ ნაციონალიურ პოლკების შედგენაში. თუ კი მანამდის ისინი ასეთი პოლკების, სამართლიანათ, სასტიკი წინაღმდეგი იყვნენ, თუ კი მანამდის ამ კითხვაში მათ სასტიკი ბრძოლა ქონდათ, შოვინისტურ პარტიებთან, თუ კი მანამდის მათ ამ ნაციონალური პოლკების შედგენისათვის უკრაინის მმართველი პარტიებს, სამართლიანათ, რევოლიუციის მოღალატეთ თვლიდენ, თუ კი მანამდე გეგეჭკორამიშვილებს ამის შესახებ ფედერალისტთა ხვეწნა მუდარაზე—შევადგინოთ „სამშობლოს" დასაცავათ ნაციონალური პოლკები—პასუხათ ქონდათ ყოველთვის მჭერ-მეტყველური „არა"—ეხლა თვითონ, სხვა პარტიებზე გაცილებით უფრო თავგამოდებით, იცავენ ამ ნაციონალისტურ დროშას ჯარის განაწილებაში, და ვინაიდან ჯერ-ჯერობით ძალა კიდევ მათ ხელშია განხორციელებასაც მოკიდეს ხელი. ჯერ იყო და ეროვნული საბჭოს სახელით, რომელის მეთაურნი, მათდა სამარცხვინოთ თვითონ არიან, ჟორდანია-რამიშვილი ხელმოწერილი მოწოდება გამოუშვეს ქართველ ჯარისკაცებისადმი: მიატოვეთ ფრონტები და დაბრუნდით შინ, „აქ შევადგინოთ ჩვენი ნაციონალური პოლკებიო. ჩვენ კარგათ ვიცით თუ რა მოყვა ასეთ, ქართველ შოვინისტებთან ერთად სხვა ნაციების შოვინისტურ პარტიების მიერაც გამოქვეყნებულ მოწოდებებს. ფრონტი აირდაირია და ყველაზედ უფრო საშინელი არევ-დარევა ასეთმა მოწოდებებმა შექმნეს ჩვენი კავკასიის ფრონტზე. დაიძრა რა ფრონტიდან ადგილობრივ ეროვნებათა ჯარისკაცები მათ, ადვილი ასახსნელი მიზეზებით, მიყვა რუსის ჯარიცდა ჩვენ ვხედავთ დღეს, მთელი კავკასიის ფრონტი დაცარიელდა: ილუპება აუარებელი ქონება და პატრონი ჯერ არსად არი. ასეთი პროვოკაციული როლი ითამაშა მენშევიკების და სხვა ნაციონალისტური პარტიების შოვინისტურმა პოლიტიკამ. ინტერნაციონალურ პრინციპზე აგებულ რევოლიუციონურ ჯარში მათ თავისი შოვინისტური პოლიტიკით განხეთქილება, ძმათა შორის უნდობლობა დაბადეს. სამოქალაქო ომი ეროვნულ ნიადაგზე, უსაზიზღრესი რამ რეაქციონულ მოვლენა, რომელსაც შეუძლია რევოლიუცია დაღუპვის კარებამდის მიიყვანოს, შავი აჩრდილივით თავს დაადგა მთელ კავკასიას ამ დღეებში მომხთარ ამბებმა ბაქო თფილისის რკინის გზაზედ—ყველას ნათლად დაანახა, რომ ეს საფრთხე ჩვენ მიერ შეთხზილი კი არა არის, არამედ რეალური უბედურება და თუ კავკასიის დემოკრატიამ დროზედ არ უარყო მართველ პარტიების ასეთი ნაციონალურ ნიადაგზედ აშენებული პროვოკაციული პოლიტიკა ვინიცის რამდენი, უფრო დიდ მაშტაბის საშინელების მოწამენი გავხდებით. აი რა ნაყოფი გამოიღო და კიდევ შეიძლება გამოიღოს ნაციონალური პოლკების შედგენამ. ჩვენ არ ვიტყვით, რომ შეიარაღება, დარაზმვა საჭირო არ იყოს. პირიქით. მხოლოდ ჩვენ ვამბობთ: 1) ეს შეიარაღება უნდა ხთებოდეს თანახმა დემოკრატიულ პრინციპებისა ამასთან ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოს შეიარაღებული ხალხის დაყოფვა აფიცრებათ და სალდათებათ, პაგონიან და უპაგონიანებათ, ერხელ და სამუდამოთ უნდა ითქვეს, რომ ამიერიდან აქ არ არსებობს არც ელინი და არც იუდეველი არამედ ყველა თავისუფალ შეიარაღებულ მოქალაქეს წარმოადგენს. რომელთაც ყავთ თავისი ხელძღვანელნი, თვით მიერ არჩეულნი. უნდა სასტიკათ დაცულ მიქმნეს ჯარისკაცისთვის უფლება ხელმძღვანელთა არჩევისა, ურომლისოთ თვით დემოკრატიზაცია ფიქციათ იქცევა. 2) ეს შეიარაღება უნდა ხთებოდეს-გარკვეულ მიზანისათვის. ეს მიზანია-რევოლიციის დაცვა კონტრ—რევოლიუციიდან, როგორ, რით და ვისგან ის არ უნდა მოდიოდეს. ეს ჯარი უნდა იყოს ნამდვილი რევოლიუციონური გვარდია. მთელი თავისი ძალით და ღონით მათ უნდა ეცადონ-გაამაგრონ რევოლიუციონურ რუსეთის რევოლიუციონური მუშათა და გლეხთა მთავრობა,—ხელიდან გამოგლიჯონ კონტრ-რევოლიუციონური დროშა კალედინ-კარნილოვ-დანსკოი და მათხელმძღვანელ ბურჟუაზიას. უნდა იარაღი აეყაროს ყველა იმ ელემენტებს—პაგონიანი იქნებიან ისინი თუ უპაგონო-რომლებსაც ამ იარაღს უკვე, ფარულად თუ აშკარად, რევოლიუციის წინაღმდეგ აბრუნებენ და რომლებიც ასე ბლომათ მოიპოვება ჩვენ დალოცვილ ამიერ-კავკასიაში. იარაღი უნდა მიეცეს მხოლოდ მათ ვისაც აქვს უნარი და სურვილი რევოლიუციის დაცვისა ეს შეიარაღება უნდა მოხდეს—ინტერნაციონალურ საზომით. არავითარ ეროვნულ გადაჯგუფებას ადგილი არ უნდა ქონდეს. ჩვენი მოვალეობაა დავანახოთ სხვა და სხვა ნაციებს მშრომელ ხალხს, რომ ისინი ყველა ძმებია. მათი მიზანი რევოლიუციის გამარჯვება და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის განურჩევლათ ნაციონალობისა განადგურება. ჩვენ უნდა გავწყვიტოთ ის ჯაჭვები რომლებითაც მშრომელი ხალხი ამა-თუ იმ ჩამორჩენილ ეროვნებასა მიკრულია თავის მყვლეფელ ბურჟუაზია—მემამულებთან და გავამაგროთ ისეთები რომლებითაც ყველა ერების დაჩაგრულები ერთდებიან. დროა შეიარაღებულმა მშრომელმა ხალხმა ერხელ-და სამუდამოთ გაიგოს, რომ ბრძოლა, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა, სწარმოებს არა სხვა და სხვა ნაციებთა შორის, არამედ ყველა ერების მშრომელი ხალხის ყველა ერების ბურჟუა-მემამულეთა წინაღმდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ შეიარაღებას—დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულს, ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ მიზნებისათვის.

**ვინ.—ბან.**

## მობილიზაციის გარშემო.

—

აქაურ მმართველმა პარტიამ—მენშევიკებმა უკანასკნელათ მოიხადეს სოციალისტური ნიღაბი: დიდი კამათის შემდეგ, საკითხის რამდენიმეჯერ გადადების შემდეგ, მენშევიკურ საოლქო კომიტეტმა, მათი პარტიულ ორგანიზაციებმა და აგრეთვე „ცენტრებმა" დაადგინეს ექვსი თვის ვადით სამსახურში გაიწვიონ ახალგაზდები ცხრამეტი წლიდან ოც-დახუთ წლამდე. მიუხედავათ იმისა, რომ სოც-რევ. წარმომადგენელი ი. ქარცივაძე საბუთებით ხელში ამტკიცებდა, რომ ჯარის შესანახათ სურათიც არ მოიპოება და არც არის იმედი, რომ მას მალე მივიღებთო...

რათ დასჭირდათ მობილიზაცია, რით ასაბუთებენ ამ ზომის მიღებას მენშევიკები?

„აკი ყველას ყური გაუჭედეს იმითი, რომ ამიერ-კავკ. კომისარიატი ოსმალეთთან მალე ზავს ჩამოაგდებს, ვინაიდან ამას თვით ოსმალეთი თხოულობსო აკი თვით გერმანიის მთავრობასაც მიუმართავს „კომისარიატისთვის" მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს. მაშ, რაშია საქმე?

აქ თქვენ გაიგონებთ იმას, რასაც 8 თვის განმავლობაში ყვიროდენ ბურჟუაზია და ობორონცები რუსეთში:—ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელშია, უნდა დავიცვათ „მამული"... ამისთვის საჭიროა ხალხის შეიარაღება, მაგრამ დღეს-დღეობით კი:

—მობრძანდით ყველა ახალგაზდებმა 19-დან 25 წლამდე ყაზარმებში, თუმც—შესაძლოა პურიც ვერ მოგცეთო... ამას მოითხოვს თურმე, მენშევიკურათ გაგებული, „რევოლიუციონური" მოძალეობა...

როგორც სჩანს, ჩვენი მენშევიკები ფრიად მამულიშვილურ გუნებაზე დამდგარან... თავის ასეთი სამარცხვინო ზომის დასაცავათ თვით უკვდავ ავგუსტ ბებელი აჩრდილსაც არ ასვენებენ... გავახსენებთ ამ გაკოტრებულ სოციალისტებს ბებელისავე სიტყვებით: როდესაც ორნი ერთ და იმავეს ამბობენ, ეს ყოველთვის ერთ და იგივეს როდი ნიშნავსო იძულებითი მობილიზაციას არავითარი საერთო არა აქვს სოციალიზმთან და რა რიგ ლამაზი სიტყვებით არ იხმაროთ ეს მაინც ღალატია სოციალიზმის...

ცნობილია, რომ ყოველ ბურჟუაზიულ-მონარქიულ სახელმწიფოსთვის საჭიროა: პოლიცია, მუდმივი ჯარი, ჩინოვნიკობა... ასე იყო რუსეთშიც რევოლიუციამდე მაგრამ რევოლიუციამ მოსპო ყოველივე ეს და დღეს ბოლშევიკების წყალობით ჯარში ძირითადი დემოკრატიზაცია მოხდა, რომელიც მიგვიყვანს საერთო შეიარაღებამდე—სახალხო მილიციის შექმნამდე.

აქ კი მენშევიკებს ნაციონალისტებთან ერთად სურთ შეაყენონ საკუთარი მილიტარული ძალა.. ეს შოვინისტური გზაა და ჩვენი მოვალეობაა ვამხილოთ ასეთი სიკოტრე მენშევიკების სოციალისტობისა...

აქვე არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ ერთ რამეზე, რომელიც კიდევ უფრო ნათლათ არკვევს მენშევიკების „სოციალისტურ" სახეს...

„სახელმწიფომ, რომლის ნაწილს ჩვენ შევადგენთ, (რუსეთზეა ლაპარაკი), სავსებით ხელი აიღო ჩვენზე. ჯარები ფრონტიდან სახლებში ბრუნდებიან, თითქოს საზღვრების დაცვა მათს მოვალეობას არც კი შეადგენდეს. ამიტომ გვჭირია ჩვენ ჯარი, რომ სანამ რუსეთთან დარღვეული კავშირი ისევ აღდგენილ იქნებოდეს, ჩვენს თავს როგორმე ვუპატრონოთო" სწერს მენშევიკური ოფიციოზი „ერთობა" (№ 18)

აი მეორე ამონაწერიც: „რუსეთის ბიუროკრატიამ, თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად, ვალდებული გახადა საქართველო და ქართველი ხალხი ომში მონაწილობა მიეღო და განწირულების ჟამს რუსეთის ჯარმა ჩვენს ანაბარად დაგვტოვა". მკითხველს ეგონება, ეს ამონაწერიც „ერთობიდან" არისო, მაგრამ შესცდება. ამას სწერენ ფედერალისტები ეს ნამდვილი შავრაზმული, შოვინისტური არგუმენტია ეს, მეტი რომ არ ვსთქვათ, მშრომელი ხალხის მოტყუილებაა განა თქვენ არ მოსწყვიტეთ ცოცხალი სხეული ამიერ-კავკას. დემოკრატიის რუსეთის ერთიან. რევოლიუციონურ-სოციალისტურ ფრონტს? თქვენ არ იყავით, რომ მართლაც განწირულების ჟამს ჩამოშორდით რუსეთის დემოკრატიას, როდესაც ის უმაგალითო და უჩვეულო ბრძოლაშია გაბმული ბურჟუაზიასთან და სისხლისგან იცლება? თქვენი პროვოკაციის წყალობით არ იყო რომ რუსის ჯარმა ფრონტი დასტოვა? და თქვენ ამ დაღლილ დაქანცულ ჯარის კაცებს რომელიც თითქმის 4 წელიწადია თავისი და უცხოელ ბურჟუაზიის ინტერესებს ებრძოდნენ, ვერაგულათ დახვდით შამქორში და მათი წმინდა სისხლი დაანთხევიეთ...

ალბათ, ამასვე უმზადებთ დღეს ქართველ მუშებს და გლეხებს. თქვენ გინდათ მათგან ბრმა იარაღი შემქნათ, რომ მათ ბურჟუაზიის და მემამულეთა ინტერესები, მათი აკლადიდება დაიცვან.

ხალხის საერთო შეიარაღების-სახალხო მილიციის ნაცვლათ, რაც სოციალისტ. პროგრამას შეეფერება, თქვენ მუდმივ რეგულიარულ ჯარის შედგენას აპირებთ...

ჩვენ ვამბობთ: ეს არა-სოციალისტური ნაბიჯია, მიმართული რევოლიუციის წინაღმდეგ.

ჩვენ ვამტკიცებთ: „ამ მობილიზაციას ისეთივე ბედი მოელის, როგორიც ერგო სხვა „დეკრეტებს" აქაურ დღენაკლულ „მთავრობისას".

ამიერ კავკასიის დემოკრატია ერკვევა თან-და-თან თქვენს ნაციონალისტურ მოღვაწეობა-მოქმედებაში. გარდა სასურსათო, ფინანს. კრისისა, არარქიის და ყველაფრის არევ-დარევისა,

დემოკრატია არ დაადასტურებს ამ თქვენი კონტრ-რევოლიუციონურ ნაბიჯსაც...

და კომისარიატის ან და სეიმის მოწოდებაზე მობილიზაციის შესახებ ის იტყვის გარკვევით და მკაფიოთ: არც თქვენს მთავრობასა ვცნობ და არც თქვენს მობილიზაციას...

მ. უზნელი.

## შამქორის ტრაგედია.

—

ერთ ერთ უსაზიზღროეს მოვლენათ იმ საქმეთა რიცხვ შორის, რომლებიც მოიმოქმედა ჩვენში მართველმა წრეებმა შამქორის დრამა, თვისი სისასტიკის გამო. დარჩება ისეთ განსაკუთრებითი ხასიათის, რომ არასოდეს არ ამოიფხვრება ხალხის ხსოვნიდან და ის მუდამ მოაგონებს დემოკრატიას შამქორის რაინდთა „გმირულ" საქციელს. უნდა ითქვას, რომ აქ მომხდარ ამბავმა ბევრათ უკან ჩამოიტოვა სხვა ბევრი სისაძაგლე და ასე გასინჯეთ, მისი გვერდით ბავშური ცელქობათ გამოჩნდა ისეთი მარგალიტი ჩვენი პოლიტიკოსების საქმიანობიდან, როგორიც იყო, მაგალითად, „თფილისის არსენალზე თავდასხმა და სხვა. აქ, შამქორში, აღვირწახსნილ მათმა მოქმედებამ მიაღწია უმწვერვალეს წერტილამდე, და ამით კიდევაც სამუდამოთ შეირცხვინეს და წაიბილწეს თავი დემოკრატიის თვალში. აქ, იმ პირებმა, ვინც დღეს-დღეობით იგდეს ძალ-უფლება ხელთ ეს ძალა ტლანქათ და უკუღმართად მოიხმარეს, დაღვარეს უმანკო სისხლი და გამოასალმეს წუთი სოფელს ბევრგან ბევრი სიცოცხლე.

იმათ ხელი აღიმართეს და გაუგმირეს გულები იმ ხალხისშვილთ, რომლებიც სამ წელზე მეტი ცეცხლში და წყალში, კარგ დარში და სუსხიან ავდარში, ცხელ მზეზე და ყინვაში იდგნენ თხრილებში, ხშირად მშიერნი და მწყურვალნი, იგერებდნენ მტერს და გვიფარავდნენ მის შემოსევის შედეგებიდან.

და, როცა ეღირსათ აეწყვეტ წვალებიდან განთავისუფლება და სიხარულით აღსავსე გულით მიეშურებოდნენ თავის სახლისაკენ, თავის კეთილ მოყვარესაკენ, თავის—აღმათი წყალობით ქვრივ-ობლად დატოვებულ—ცოლ-შვილებისაკენ მათ გადაეღობნენ, ავაზაკებივით, გზაში და ვერაგულათ ამოსწყვიტეს. ასეთი უნდა მადლობის გადახდა!

მაგრამ, ნუ გგონიათ ამ ტრაგედიის გმირთ, რომ ასეთი დანაშაული შერჩეთ მათ. თუ ჯერ-ჯერ თვითვე არიან გამომძიებ…

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯულებიც და ფიქრობენ სასჯელს სამერმისოთაც თავიდან აიცილებენ — ტყვილათ იმედოვნებენ. მოვა დრო, შეიძლება, მალე, როდესაც დემოკრატია მოსთხოვს მათ მთელ ანგარიშს და მაშინ, რაც უნდა ეცადონ, ვერ გაექცევიან პასუხისგებას. დემოკრატია ღირსეულათ დააფასებს მათ საქციელს და სწორ-შეუპოვარ მჯავრს დისდებს მათ.

ეს ისე მოხდება, ვინაიდან იმათ მიერ უბრალოთ დანთხეული სისხლი ღაღადებს და თხოულობს ხალხის წინაშე დამნაშავეთა გასამართლებას.

მიხა ხონელი.

## „მუშის სიმართლეს".

გაუმარჯოს მუქურ—ვარსკვლავს,
გაუმარჯოს ჩვენს სიმართლეს,
გაუმარჯოს ვინც ჩვენს დროშას
წრფელის გულით აფრიალებს...

*
* *

მუშებს, გლეხებს, ჯარის-კაცებს,
არ გვაშინებს მტარვალთ ხროვა:
დრო ნეტარი გვიცეცხებს,
და გვწამს, იგი მალე მოვა...

*
* *

თან იხილოს ჩვენმა მტრებმა
მთელ ჩაგრულთა შეერთება...
სასახელო ჩვენი ბრძოლა
გამარჯვებით დასრულდება.

შატო.

## ძმური სისხლი...

—

უცნობი, მივარდნილი სადგური ამიერკავკასიის რკინის გზაზე—შამქორი... დღეს მას ყველა იხსენიებს...

იქ დატრიალდა საშინელი უბედურება. იქ აღიბეჭდა ჩვენი მენშევიკების სამარცხვინო მოღვაწეობა.

იქ დაიქცა სისხლი რუს ჯარისკაცებისა... მათი, ვინც თითქმის 4 წლის განმავლობაში ანთხევდა სისხლს სანგრებში, მედგრათ იცავდა კავკასიის ფრონტს...

და დღეს მშობლიურ კერასკენ მიეშურებოდა ან და მუხანათ კალედინთან საბრძოლველათ... ყველა ამისთვის მათ მადლობა გადაუხადეს ფრონტზე გადარჩენილნებმა, სადღაც შამხორში განუტევეს სული...

ვისი წყალობით დაიღვარა მათი მუშური სისხლი?

ამიერ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრის და ადგილობრივ ეროვნულ საბჭოების მეოხებით...

მწარე ირონიაა, მაგრამ სინამდვილე... გასაკვირველი აქ არაფერია... ასეთი სამარცხვინო როლს თამაშობენ საბჭოები, როდესაც მას მენშევიკ—ესერები პატრონობენ... რუსეთშიც ასე ხდებოდა მანამ, სანამ დემოკრატიამ ისინი არ ჩამოაგდო და წინამძღოლობა რევოლიუციონურ სოციალისტებს—ბოლშევიკებს არ გადასცა...

და აქაც თვით დოკუმენტს—...ნებას იარაღის აყრის შესახებ ...სადაც უმწიკვლო სახელი ოდესღაც ქართ. სოც.-დემოკრატის ბელადის ნოე ჟორდანიასი აწერია...

ასე ჩამოქვეითდა აქაც რუსეთში სრულიად გაკოტრებული, მენშევიზმი..;

მან დაივიწყა მარქსიზმის პრინციპები.. მან დაჰხარა ძირს წითელი დროშა ინტერნაციონალის რომელსაც აწერია უკვდავი სიტყვები ჩვენი მასწავლებლის კარლ მარქსისა:

—„პროლეტარებო ყველა ქვეყნიაა შეერთდით!". მან დასცილდა მუშათა და ღარიბეს გლეხთა მოძრაობას. მენშევიზმი მონაწილეობას არ ღებულობს რუსეთის დიად მუშურ—გლეხურ რევოლიუციაში.

თვით მუშები, ჯარის-კაცები და გლეხები სჭედენ თავის ბედს...

სწარმოებს ბურჟუაზიასთან უმაგალითოდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი მსოფლიო ისტორიაში... იმსხვრევა უკანასკნელი სიმაგრენი ბურჟუა—მემამულეთა კონტრ-რევოლიუციისა ბევრ მსხვერპლს იწირავს ეს საქმე... წმიდა სისხლი, სისხლი, ახალი საფლავები.. ტირილის ნაცვლად ახალ ბრძოლისკენ გვიწვევენ ისინი..

და ამიერ-კავკასიის დემოკრატიაც მალე გაცემს პასუხს მებრძოლთა შორეულ ძმურს გამოძახილს..

და სხვა-გვარ კონტრ-რევოლიუცია თან მიყვება...

განჯა-შამქორში ავაზაკურად ძმური სისხლი დაიქცა...

რუსეთის დემოკრატია და შეგნებული ნაწილი ქართ. დემოკრატიისა ზიზღით და კრულვით მოიხსენიებენ ამ ამბების დამნაშავეთ... და დღეს მით უფრო მქუხარედ განიმეორებს აქაური დემოკრატია რუსეთის მებრძოლ დემოკრატიასთან ერთად:

—გაუმარჯოს ხალხთა ძმობას და ერთობას;

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლიუციას!

კან.

## ინტელიგენცია და მუშათა კლასი.

—

ბევრს უკვირს და აღშფოთებულია, რომ დღეს რუსეთით ინტელიგენცია მუშათა კლასს გადუდგა და ღალატობს, ის ინტელიგენცია, რომელიც ისე თავგამოდებით ებრძოდა თვითმყრობელობას და ისე აღფრთოვანებული იყო მაღალი იდეალებით, უცფათ შეიცვალა და ზურგი აქცია მუშათა კლასს, რომლის წინაღმდეგ დღეს არათუ მარტო პასიურათ, არამედ აქტიურათაც იბრძვის, განა ეს განსაცვიფრებელი და აღსაშფოთებელი არაა? მაგრამ კითხვა არცქა ისე რთულია, როგორც ზოგიერთი ჩვენი ამხანაგს ეჩვენება,

ინტელიგენციას რუსეთში პოლიტიკური თავისუფლება სწყუროდა და ამიტომ იყო, რომ იგი მუშათა კლასს არწმუნებდა ვითომ ისიც მისი ინტერესებისათვის იბრძვის და მასაც სოციალიზმის დამყარება უნდა.

მაგრამ საკმარისი იყო. მას ახლა ენახა ეს შერეული იდეალი, რომ, მყისვე შემკრთალიყო და ფრთები ძირს დაეშვა, ვინაიდან იგი ათას გვარათ არის გადაჯაჭულ დაკავშირებული საზოგადოების მსხვილ და წვრილ ბურჟაზიულ წრეებთან.

მუშათა და გლეხთა მთავრობის მიერ მიღებულ პირველმავე ზომებმა, რომლითაც სოციალიზმს მხოლოდ გზა ეკაფება, ყველა ჯურის ინტელიგენტების უმრავლესობა ძალზე ააშფოთა და აამხედრა.

როგორ?! მამაჩემს სახლებიდან შემოსავალს მოუსპობენ, მამაჩემს კიდევ მიწის ღალას? ეკითხება თავის თავს თავზარი დაცემული ინტელიგენტი და თავს მეტათ ცუდათა გრძნობს, ვინაიდან ყოველივე ის, რაც ხდება პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში, მეტათ ახლო ეხება მის ტყავს და აქაა, სათავე მისი გულის წყრომისა, რომელსაც იგი გრძნობს მუშებისა და მათგან შექნილ მთავრობის მიმართ, რომელსაც მართლა მიაყენა, როგორც მას, ისე მათ ნათესავებსაც, ნივთიერი ზარალი, ინტელიგენტების უკან დახევა და მათთან იდეალების ღალატი გუშინდელ დღიდან როდი დაწყებულა, ჯერ კიდევ 1905 წლის შემდეგ, რეაქციის პირველ დღეებში ის მეფის მთავრობის შემოტევამ ძალზე დააფრთხო და მან იმ დღიდანვე იწყო უკან-უკან სვლა, მუშათა კლასის დაშორება; ის თანდათან ეფლობოდა უმოქმედობის ჭაობში: ზოგი მათგანი „ღვთაების" ძებნას და სარწმუნოების აღდგენას შეუდგა, ბევრი დეკადენტი გახდა და ბევრმაც ფუტურიზმში ჰპოვა თავისი გარყვნილი სულის კვეთების ნავთსაყუდარი.

ამას რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ლიდერები თავიდანვე გრძნობდენ და ამიტომ იყო, რომ მუშებს ურჩევდენ, აღარ დანდობოდენ ინტელიგენტებს და თვითონვე შედგომოდენ თავისი იდეალების პროპაგანდა-აგიტაციას, მომზადებულ იყვენ პროპაგანდისტებათ და აგიტატორებათ და, მართლაც დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელ დიად ბრძოლისა და მუშაობის ხანში თავგანწირულ ინტელიგენტთ მცირე ჯგუფს გვერდში უდგას მთელი რაზმები გაწრთვნილი მომზადებულ მებრძოლ მუშებს, რომელიც მტკიცე, უდრეკ უძლეველი მარჯვენით ურიცხვი მძიმე საქმე კეთდება. მართალია, კიდევ უფრო მეტათ მძიმე და საპატიო შემოქმედობით სამუშაო მას წინ უძევს მომავალში, მაგრამ მუშათა კლასი ამასაც უთუოთ შეასრულებს, რის თავდებია ის გარემოება, რომ მან უკვე შესძლო ამ მცირე ხნის განმავლობაში თვითმპყრობელობის სახსენებელის სრულიათ ამოგდება და სოციალიზმის ფართე, გაშლილ გზაზე გამოსვლა.

„ბრძოლა".

## წითელი გვარდიი უსტავი.

—

I მიზანი.

1. წითელ გვარდიის დანიშნულებაა—აქტიური დახმარება საბჭოების მთავრობისადმი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და დაცვა ყველა პროლეტარიატისმიერ მოპოვებულ თავისუფლებების.

II შემადგენლობა.

2. წითელი გვარდიის წევრათ ითვლება ყოველი მუშა, ჯარის კაცი და გლეხი, რომელიც იცნობს და მიიღებს სრულიად რუსეთის მუშ., სალდ. და გლეხთა საბჭოების მეორე ყრილობის (სიეზდის) დადგენილებებს (პლატფორმა).

3. წითელი გვარდიაში ჩასარიცხავათ საჭიროა რეკომენდაცია ორგანიზაციის ორი წევრისა.

III ორგანიზაცია.

4 წითელი გვარდია უნდა იქნას დაყოფილი ათეულებათ და ასეულებათ, არჩეულ ათისთავებით და ასისთავებით.

5. არჩეულში წარმომადგენელნი ადგენენ წითელ გვარდიის შტაბს.

6. წითელი გვარდიის შტაბი გზავნის თავის წარმომადგენლებს სამხედრო რევოლიუც. კომიტეტებში, პარტიის კომიტეტებში და მოქმედებენ თანახმა იმათ ინსტრუქციებისა.

7 წითელი გვარდიის წევრები იცავენ მწყობრივ რევოლიუციონურ დისციპლინას.

8. დისციპლინის დარღვევისათვის ანუ ისეთი ყოფაქცევისათვის, რომელიც ჩირქს სცხებს რევოლიუციის საქმეს, დამნაშავე-წითელგვარდიელთა კრების დადგენილებით შეიძლება იყოს განდევნილი, როგორც გვარდიდან, ისე მებრძოლ პროლეტარიატის რაზმიდან.

## თეატრი და ხელოვნება.

—

### ქართული დრამა.

როგორც სჩანს, აქაური ქართული დასი მუყაითად და კეთილსინდისიერად სრულებს თავის მოვალეობას. ამასვე ღაღადებს როგორც პიესების სათანადო არჩევა, ისე მათი დადგმა აღსრულება, რამდენათ ეს შესაძლოა, რასაკვირველია, ბათუმის ღარიბ სცენაზე. ყვენ შეძლება მოგვეცა რამდენიმეჯერ დაესწრებოდით წარმოდგენებს დიდათ ნიჭიერ მსახიობ-ქალმა ნინო ჩხეიძემ ორი მხატვრული საღამო აჩუქა აქაურ ასეთ სანახაობაზე ჭეშმარიტად დამშეულ მაყურებელ-მსმენელთ („მედეა" და „ივდით"). სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს საღამოები მართლაც ესთეტიურ ღირებულებას წარმოადგენდენ.

რაც შეეხება „ვიდრე ჰხვალ უფალო?"-ს წარმოდგენას, უნდა ვსთქვათ, რომ ეს საკმაო რთული და ძნელი პიესაა, რომელიც სათანადო დადგმას და მორთულობას ითხოვს. ჩაატარეს ეს პიესა გვარიანათ, ხოლო არა უნაკლულოდ. თვალსაჩინო ნაკლათ მაგვაჩნია ის, რომ საერთოდ ვერ სტოვებდა მთლიან, დასრულებულ შთაბეჭდილებას, რომელიც განგვაცდია ჩვენ გამოცდილ და განვითარებულ რეჟისორ-მსახიობის შალვა დადიანის აქ ყოფნის დროს. აღმასრულებელთაგან უპირველეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ „სტუმარ" მსახიობზე—დ. მგალობლიშვილზე, რომელმაც მეტად ნიჭიერად და ლამაზად გადმოგვცა მარკუსის როლი. და სწორედ ძნელი ასახსნელია, რათ დასჭირდა ამ მსახიობს ქართული სცენის მიტოვება, სადაც ის თვალსაჩინო და სასარგებლო მუშაკი იყო და ოპერეტკაში გადაბარგდა, რომელიც, სუმბათაშვილიუჟინის თქმის არ იყოს, დაცემული და არის დრამისა. გულრწფელი რჩევაა ჩვენი: კვლავ დაუბრუნდეს დრამაში სერიოზულ მუშაობას, ვინაიდან, ეჭვს გარეშეა მისი ნიჭი ამ სფეროში ღვივის და ის უფრო განვითარდება, თუ საამისო ცდას და ენერგიას არ მოაკლებს მსახიობი ამას გვალაპარაკებს მხოლოდლა ხელოვნების ინტერესები... სწორი გამოხატულებას ნაზ, გულუბრყვილო არსების—ლიგიასი, რომელიც აღჭურვილია ქრისტიანულ სათნოებით და გრძნობით, იძლევა მარო მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილშობილ პეტრონიუსის როლს ი. მურუსიძე შეგნებულათ ასრულებს. საერთოდ, ეს არტისტი არ არის მოკლებული ნიჭს და ერთ თვალსაჩინო სცენის მსახურათ უნდა ჩაითვალოს, რომ მასაც, სამწუხაროთ, არ ემჩნევოდეს თითქმის საერთო სენი ქართველ მსახიობთა — მიმიკის (სახის მოძრავობა) და პლასტიკის (მოძრავობა სხეულისა) განუვითარებლობა...

გაიძვერა, მაგრამ ჭკუიან ხილონის ტიპს კარგათ ასურათხატებს შ. ხონელი...

ესევე არ ითქმის პლ კორიშელზე, რომელიც მუდმივ თავის ადგილზეა და პირნათლად ასრულებს ნაკისრ როლებს: მისი ნერონი მეტათ ერთფეროვანი, მკრთალი გამოდგა. ის ცირკის რომელიმე პერსონაჟს უფრო წააგავდა, ვინემ ცნობილ კეისარს...

სუსტი იყო აგრეთვე ევნიკა—კ. გორდელი... ამ რთული და ძრიელი პიროვნების — მონაქალის როლი ვერ სძლია მსახიობმა...

არას ვიტყოდით გარელზე (ფლავკ) და ჯაყელზე (კონსული), რომ მათ ერთფეროვან დიაკვანისებურ გამოთქმას და უხეირო თამაშს რაიმე საერთო ჰქონდეს ხელოვნებასთან...

აქ უნებლიეთ უნდა გავიხსენოთ და განვიმეოროთ ლეონ ტოლსტოის აზრი, რომ ხელოვნება არ ითმენს უნიჭოთ და საშვალო მოხელეთ. მას მხოლოდ-და რჩეულნი მიაქანებენ სასურველ მომაელისკენ.

**მ. კახი.**

## მ. გორკი და რევოლუცია.

ერთხელ მ. გორკი სახელოვანი მებრძოლი იყო. ის იბრძოდა რევოლიუციისათვის, იბრძოდა სოციალიზმისათვის. მ. გორკის შემოქმედება, მთელი მისი ნიჭი, სული და გული მუშა-პროლეტარის მებრძოლის სულსა და გულში იყო ჩაქსოვილი, გორკი მშრომელთათვის განსახიერება, ემბლემა იყო იმ თავისუფ, რომელსაც მაქსიმეს „ტანჯული მუშა“ მოელოდა.

ზღვა სისხლი დაიღვარა ამ თავისუფლებისათვის. მუშის და გლეხის ცრემლითა და მვლებით ადუღდა და აივსო მთელი მიდამო! მან სისხლით გამოაწრთო და ძვლებით გამოკვერა თვისი დიადი თავისუფლება. მაშინ გორკიც ხალხთან იყო.

დღეს კი მთელი მშრომელი მასსასთან ერთად ჩვენც ვგლოვობთ მას იმიტომ, რომ იგი შრომის განთავისუფლების დღეს რაღაც გაურკვეველ ბოროტებას შეუპყრია!.. ის აღარც მღერის, აღარც მხიარულობს. ერთხელ ის მუშასთან ერთად იზიარებდა ჭირსა და ლხინს. დღეს ის განზე გამდგარა სხვა მის ზოგიერთ ამხანაგებთან ერთად. გორკი საშინელი ლანძღვა გინებით უმასპინძლდება რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას, სახალხო მთავრობას, მის დეკრეტებს. „სახალხო კომისარების დეკრეტები წყალზე ჩანგლებით წერაა... სულელურია სიბრიყვეა“ და სხ. თურმე „საპატიო ზავზე“ დეკრეტი სისულელეა, წარმოების კანტროლი — სიბრიყვეა მიწების გლეხებზე გადასვლა — გამოუსყიდველათ სიბოროტეა, ბანკირების ალაგმვა, მათგან ოქროების ჩამორთმევა და ხალხის სასარგებლოთ გამოყენება ყაჩაღობაა... გორკის აზრით მუშასა და გლეხს თურმე თავისუფლება რათ უნდა: ის მას ვერ მოიხმარს.

დღეს გორკი შეკრთა, შეშინდა... დაიბნა... და ყველაფერი ეს გორკის, ისე როგორც მისი მზგავს მენშევიკ-ესერებს (მემარჯვენე) რევოლიუციის ძლევამოსილებისა და ქარტეხილისა შიშით მოსდის...

რევოლიუციის დროს თვით საუკეთესო პოლიტიკოსებსაც კი გადაუბრუნდათ ჭკუა-გონება და მსოფლმხედველობა. ბევრმა დაგმო ის, რასაც მთელ თავის სიცოცხლეს სწირავდა. „ძროხამ იწველა იწველა“. ასვა ერთ დროს სახელოვან “დღის“ ავტორის, დღეს კი საბრალო გზა-კვალ დაბნეულ გორკის ბედი. მახლას!..

**გედი-მარქსისტი.**

## დეკრეტი.

ჯარის უფროსთა არჩევის და მისი ორგანიზაციულათ მოწყობის შესახებ

16 დეკემბერი 1917 წ.

1) ჯარი, რომელიც ემსახურება მშრომელი ხალხის ნებაყოფლობას, ემორჩილება უმაღლეს გამომხატველს ამ ძალაუფლებისას, სახალხო კომისარების საბჭოს.

2) მთელი უფლების სისრულე თვითეულ ლაშქრის ნაწილის ფარგლებში და მათი ერთეულებში ეკუთვნის ჯარის-კაცთა კომიტეტებს და საბჭოებს.

3) ჯარის ცხოვრების და მოქმედების სხვა და სხვა დარგებში თუ კი იმათ უკვე განაგებენ კომიტეტები, რჩებიან მათივე ხელმძღვანელობის ქვეშ. იმ საქმეების წარმოებაზე კი, რომელთაც ვერ იკისრებენ კომიტეტები, უნდა იქმნეს დადგენილი კონტროლი კომიტეტისაგან ან საბჭოებისგან.

4) შემოღებული უნდა იქნეს არჩევა უფროსთა შემადგენლობის და აგრეთვე ყველა ვალდებულთა პირების. კომანდირები თვით პოლკის კომანდირამდე უნდა იყვნენ არჩეული საყოველთაო ხმის მიცემით თავისი განყოფილებებიდან, დივიზიონებიდან და პოლკებიდან. პოლკის კომანდ. უფროსი კომანდირები თვით მთავარ სარდლამდე, ირჩევიან შესაფერისი სიეზდებზე (ყრილობებზე) ანდა შესაფერისი კომიტეტების თათბირზე.

შენიშვნა: თათბირათ იგულისხმება შეერთებული კრება კომიტეტის და იმ კომიტეტების დელეგატებისა, რომლებიც ერთსაფეხურით დაბლა დგანან პირველ კომიტეტზე.

5) არჩეულ უმფროსებს, პოლკის კომანდირზე უმაღლესებს, ამტკიცებს უახლოესი უმაღლესი კომიტეტი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კი უმაღლესი კომიტეტი უარს განაცხადებს არჩეულ უფროსის (ნაჩალნიკის) დამტკიცებაზე, მეორედ შესაფერისი დაბალი კომიტეტის მიერ არჩეული უმფროსი უეჭველად უნდა იქნეს დამტკიცებული.

6) ჯარების (არმიის) სარდლებს ირჩევენ ჯარების სიეზდები ფრონტებისას ფრონტების სიეზდები.

7) ტეხნიკურ ხასიათის მოვალეობაზე, რომელიც მოითხოვს სპეციალურ სწავლას განათლებას ან-და სხვაგვარ პრაკტიკულ მომზადებას, როგორიცაა: ექიმები, ინჟინრები, ტეხნიკები, ტელეგრაფისტები, რადიოტელეგრაფისტები, ავტომობილისტები და სხვ. ინიშნებიან განსაკუთრებითი ნაწილების კომიტეტებისაგან მხოლოდ ისეთი პირები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სპეციალური ცოდნით.

8) შტაბების უფროსებათ სიეზდები ირჩევენ სპეციალური ცოდნით მომზადებული პირთ.

9) დანარჩენ შტბში საჭირო პირნი ვინც აღჭურვილია სპეციალური ცოდნა-განათლებით უნდა იქნან განსაკუთრებით აღრიცხული.

10) იმ უფროსებს, რომლებიც ხნეობით აჭარბებენ ჯარში გაწვეულთ სალდათთა წლეებს, და იმყოფებიან სამსახურში თუ არ იქნენ არჩეულნი ამა თუ იმ თანამდეობაზე და ამგვარათ იქნენ ჩამოქვეითებულნი უბრალო ჯარის კაცთან გათანასწორებადე, ეძლევათ უფლება დაანებონ სამსახურს თავი (მისცენ ოტსტავკაში)

11) სხვა თანამდებობანი არა კომანდის შემადგენილობისა, გარდა ჯარის ნაწილის შინაურ საქმისა, უნდა ჩაბარდეს არჩეულ პირს, იმიადა მიხედვით თუ რაგვარი ცოდნა აქვს მას.

12) დაწვრილებით ინსტრუქციები უმფროსთა შემადგენლობის არჩევის შესახებ იქნება გამოცემული განსაკუთრებით.

თავმჯდომარე სახალხო კომისრების საბჭოსი **ვლ. ულიანოვი (ლენინი)**. სახალხო კომისარი სამხედრო და საზღვაო საქმეების **ნ. კრილენკო.**

სახალხო კომისარი სამხედრო საქმეების **ნ. პოდვოისკი.** ამხანაგები სახალხო კომისარის სამხედრო საქმეების **ლევრანი, მეხონოშინი. კედროვი, სკლიანსკი,**

მდივანი საბჭოს **პ. გორბუნოვი.**

## ჯარის კაცის მოკვლა.

24 იანვარს, შუადღისას, მოქ. პროტჩენკომ მოჰკლა ჯარისკაცი ბაკურაძე.

როგორც გადმოგვცეს ეს უკანასკნელი დიდიხანია ემუქრებოდა და დასდევდა პროტჩენკოს მოსაკლავათ. ამ დღესაც ეს მკვლელობა მოხდა, რომ ბაკურაძე მიხდომია პროტჩენკოს მოსაკლავათ. ბაკურაძემ პირველმა ესროლა პროტჩენკოს, მაგრამ დააცილა. პროტჩენკოს მიერ გამოსროლილმა ტყვიამ კი ბაკურაძე სასიკვდილოთ დასჭრა.

მაშინვე იმ ადგილას სადაც ეს დრამა დატრიალდა მოგროვდა ხალხი. ზოგმა მათგანმა თვითგასამართლება მოუნდომეს მკვლელს. მაგრამ ის როგორც იყო გადაარჩინეს. ერთ სალდათს კი, რომელიც დაჭერილ პროტჩენკოს გამოექომაგა, თავი გაუხეთქეს.

როგორც ამბობენ, ამ დრამით სურთ ისარგებლონ ბნელი ძალებმა და სხვა და სხვა გვარ პროვოკაციულ ხმებს და ჭორებს, რომლებიც დაუკავშირეს მომხთარ ამბავს, ავრცელებენ. თან აქეზებენ ქართველ სალდათებს და მოუწოდებენ შურისძიებისათვის და სხვა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სალდათები არ აყვებიან ასეთ უსაფუძლო ხმებს, ვინაიდან თვითონ იციან კარგათ თუ რა ქვენა საქმეებისათვის უნდა გამოიყენონ პროვოკატორებმა ეს ხმები, და დაუცდიან საქმის გამოძიებას.

საჭიროთ ვცნობთ აგრეთვე მივაქციოთ ყურადღება ვისიც ჯერ არს რომ რაც შეიძლება დააჩქარონ გამოძიება და ამით გააუქმონ მოსალოდნელი ექცესების გამომწვევი მიზეზები.

## სალდათის წერილი.

კავკასის ძირითადი პარკიდან 16 ქრისტეშობის თვეს მე გამათავისუფლეს რიგორც სალდათი 19 წლისა, მივედი ქალაქის სადგურზე, მივიტანე ჩემი ბარგი და უცდიდი ლამის 12 სათის მატარებელს. უნდა წავსულიყავ გორში როგორც იქაური. 9 სათზე ერთი მატარებელზე ხალხი ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა ადგილის დასაჭერათ. ერთ რუსის სალდათს მიუცვინდენ ორი პატრული ქართველი სალდათები და შტიკები დაუმიზნეს გულზე, რადგანაც ის ფანჯრიდან მიდიოდა მატარებელში. მე რომ ეს დავინახე, მიველი და უთხარი, — ამხანაგებო, ჟანდარმულათ რათ იქცევით მეთქი. ამის გულისთვის წამიყვანეს ვაკზლის კომისართან. სეკრეტარმა მიცნო რომ მე კავკასიის მირითადი პარკის სალდათი ვარ. და გააცნო კომისარს ჩემი თავი როგორც ბალშევიკი. კომისარმა დაიწყო ბალშევიკების ძაგება უწოდა მათ ანარქისტები. მე ჩემი მხრიდან იმის წინაღმდეგ გამოვთქვი აზრი ამ დროს მათმა გაგზავნილმა „ტერორმა“ კარებიდან მესროლა რევოლვერი და დამჭრა მარცხენა ფეხში; სამ წელწად ნახევარი პოზიციაზე ვიყავი და გადავრჩი; ახლა, როდესაც მეგონა მეშველამეთქი, ამ ხათაბელას შევემთხვიე. არავინ ყურადღება არ მომაქცია. წაველი გორში. კერძო ექიმმა ბევრი მომთხოვა, სამხედრო გოსპიტალში მივედი და აქაც ასე მითხრეს, — თუ ქართველ პოლკში ჩაეწერები მხოლოთ მაშინ მოგარჩენთო. ახლა მკითხველნო თქვენ გასაჯეთ: სამწელწად ნახევარი ვიმსახურე სიმართლით, ახლა რა მინდა დეზერტირეთანა, რომელთაც ეპატივათ დეზერტირობა და იმისთვის ზურგს უმაგრებენ „კნიაზებსა“. თრა მე ვერ ვიზამ მაგასა რუსებთან ერთად დავიწყეთ რევოლიუცია და ერთათ გ... ვოთ

მაშ გაუმარჯოს პეტროგ... მთავრობასა

კავკასის ძირითადი პარკის ... ფილი ჯარის კაცი **პაპუაშვილი**

## შემოწირულებ...

ბათუმის ს.-დ. კომიტეტის (... შევიკების) და ბოლშევიკურ ... თების „ბურევესტნიკი“ და „... სიმართლის“ ფონდის სასა... ლოთ.

1) მელაძე ქრისტ. 1 მან. ... 2) ჯიქია ბესარიონ 5 მან. 3) ... ჰიძე იამ. 2 მან. 4) ტა... გრ. 1 მან. 5) ცხო. დიმიტრი ... 6) Пустовоитовъ 1 р. 7) ... бон. Арк. 1 р 8) Александ... Ник. 1 р. 9) ... ე იპ. 1. 10) Пивницкій Гр. 1 р. К... чановъ Арк 1 р 12) Си... ковъ К. 3 руб. 13) ლ... მელ. 1 მან. 14) ჩ გოგიძე ... სტი 50 კ. 15) фирч. Прокот. ... 16) კოსტა კანკა. 50 კ. 17) ... ელია კოსტა 1 მან 18 ... ლია იასონ მიხ. 50 კ.

ჯარის კაცებიდან 4 ... 2 მსრ. ქართ. პოლკი ) ... ბართლ. 85. კ. 2) ხელაძე ივ. ... 3] გორგილაძე ვას. 50 კ. 4) ... რიან სადაი 50 კ. 5) ფხეიძე ... ნე 50 კ. 6) ხუბნაია ბესარ. 25 ... 7) უჩგნეშვილი ანდრ. 30 კ. ... წულაია სიმ. 20 კ. 9) მიქაბ... სევერ. 25 კ. 10) შარტაია ... 25. კ. 11) გობრონიძე შალვა. ... 12) კაკულია ექ. 50 კ. 13) ... ვაძე სიმ. 40 კ. 14) ვაჩეიშ... სიმ 50 კ. 15) სოხაძე ერ. ... 16) გობესკერია ნ. 35 კ 17) ... კოლაიშვილი მ. 50 18) ბაკა... როხ. 1 მ. 19) გაგუა ექვთ. 5... 20) ბოსილაძე იდ. 20 კ. 21) ... კაბიძე ბიკტორ 50 კ. 22) ... ილ 5 მან. 23) ნაწეიშვილი ... ორგ. 50 კ. 24) მახარაძე დ. 4... 25) კვაჭანტირაძე ლადიმ. 5... 26) ფილია ნესტორ 30 კ.

კომიტეტი და რედაქცია ... წრფელ მადლობას სწირავს ამ... გებს დახმარებისათვის.

## განცხადება.

ოზურგეთის ორგანიზაცია ... სოც.-დ. მუ. პ. ბოლშევიკები ... უცხადებს თავის თანამოაზრე პ... რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლ... 1) ქალაქის აფთიაქის გამგესთან ... ლიპე ცხომელიძესთან, 2) მა... ლომინაძესთან 3—6 საათამ... ჯაბა მამულაშვილის სახლში. (... ტრის გვერდით).

სტამბა მ. მ. მახარაძისა ბათომ...